საქართ მუშარც. სოც.-ფედ. საერთ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. [illegible]
4 „ 50,000 „
სამგლოვიარო [illegible]
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 429 კვირა, მარტის 25 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

## გლეხ-კაცობის მდგომარეობის გაუმჯობესობისთვის

აგრარული რეფორმა გლეხკაცობის სასარგებლოდ ტარდება. რევოლიუციამ ამ მხრით, სხვათა შორის, დიდი ბედნიერება მოუტანა სოფლის ღარიბ დემოკრატიას. მიწა, ერთად ერთი საარსებო წყარო გლეხისათვის, დღეს ამავე მიწის მუშის ხელშია. იგი გადავიდა მისი ბუნებრივი პატრონის განკარგულებაში. აშკარაა, სოციალისტური აგრარული რეფორმის შედეგი მარტო გლეხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა კი არ იქნება, არამედ მთელი რესპუბლიკის სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია და სახელმწიფო ეკონომიკის საიმედო ბოძებზე დაყრდნობა, როგორც ვიცით, შარშან 70 პროცენტი სახნავ-სათეს მიწისა დამუშავდა. მაშინ სავსებით კიდევ არ იყო მიწის კანონი ცხოვრებაში გატარებული. დღეს კი, როდესაც არც ერთი ზედმეტი მიწის ნაჭერი არაა ყოფილ მემამულე-მეპატრონეების უფლებაში დარჩენილი, როდესაც მთელი მიწა გლეხ-კაცობის, სოფლის ღარიბეს მიწის მუშების სრულ გამგებლობაშია, აშკარაა, არ დარჩება მიწის არც ერთი ნაჭერი დაუმუშავებლად. მართალია, მოუსავლობა დიდს დაღს დაასვამს ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების ნორმალურად განვითარების საქმეს. მაგრამ მარტო მოუსავლობით არ აიხსნება ჩვენი ხალხის დამშევის მიზეზები. მთავარი მიზეზთაგანი უსათუოდ მიწების დაუმუშავებლობაში მარხია. დიახ, ამ ჟამად სრულიად შეცვლილ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. გლეხის მადლიანი ხელების, გუთნისა და თოხის შეხების გარეშე არ დარჩება არც ერთი ადლი დასამუშავებლად სავარგის მიწისა.

არ იქნება სიმართლე იმის თქმა, რომ გლეხობა მიწის გადაცემით სავსებით უზრუნველყოფილი გახდა, სოფლის მშრომელთა სვე-ბედი. მარტო მიწა არ კმარა. ღარიბ გლეხს არ გააჩნია საწარმოო იარაღები—მკვდარი თუ ცოცხალი ინვენტარი: ხარი, ცხენი, გუთანი და სხვა. მემამულეებს მიწები ჩამოერთვა, მართალია, მაგრამ მიწის დასამუშავებელი საშუალებანი გლეხობას არ გააჩნია. ამიტომ საწყალი გლეხი კვლავ გაჭივრებულ მდგომარეობაში რჩება. სახელმწიფოს მართებს ამ მიმართულებათ ენერგიული მუშაობა. გლეხ-კაცობა უზრუნველყოფილი უნდა იქმნას საწარმოო იარაღებითაც.

დღეს ჩვენი სოფლის ცხოვრებაში მოიპოება მწარე და დამაფიქრებელი სურათები. გლეხ-კაცობის მატერიალ-ფინანსიური მდგომარეობა მეტად მწვავეა და სავალალო. ცხოვრების სიძვირე დევის ნაბიჯებით მიექანება წინ. გაძვირებულია პირველსაჭიროების ნივთები. რა ესაჭიროება სოფელს?—სანოვაგე. ჩვენი ხლეხ-კაცობა სანოვაგის დიდს კრიზისს განიცდის. გლეხი ვერ ყიდულობს წაღებს, საცვლებს, ტანსაცმელს. ამის მიზეზი სოფლის ნაწარმოების—პურისა და სიმინდის გაიაფებაა. სიმინდი 100—150 ათასი მან. ფასობს, ხოლო არშინი ჩითი ან ნარმა სამჯერ—ოთხჯერ მეტია, სოფელმა 20—30 ფუთი სიმინდი უნდა გაყიდოს, რაც სულ უბრალო წაღები იყიდოს. წინეთ კი ასეთი წაღები 2—3 ფუთი სიმინდი უჯდებოდა გლეხს. უნდა ითქვას რომ ამ მხრით გლეხ-კაცობის მდგომარეობა მეტად მძიმეა. მას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. უპირველესად ყოვლისა სახელმწიფო ორგანოებს მართებს სოფლის ცხოვრებაში ჩახედვა და მშრომელ გლეხობის საჭიროებათა ამოკითხვა.

რა გზით შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება? ამის პასუხი არც ისე ძნელადაა მისაღები. ჩვენი სახელმწიფო მშრომელთა სამეფოა, სადაც მუშათა კლასის ბედ-იღბალი თვით მშრომელი მასსის უშუალო განკარგულებაშია. საწინაალმდეგო მოვლენასთან რომ გვქონდეს საქმე, ცხადია, ღარიბ ხალხს კეთილდღეობის შესახებ ლაპარაკი ზედმეტი იქნებოდა...

არის ყველაზე იოლი ხელმისაწვდომი საშუალება. ჩვენ ვამბობთ კოოპერაციის შესახებ. ჩვენს ქვეყანაში კოოპერაციის მუშაობისათვის ფართო ასპარეზია გადაშლილი, არც სუბიექტიური და ობიექტიური ხასიათის შემაფერხებელი მიზეზები არ არსებობს კოოპერაციის ზრდა-განვითარებისათვის. უნდა გავამრავლოთ დაბა-სოფლებში კოოპერატიული პუნქტები და ამ გზით მივაწოდოთ სოფელს ფართო მასსას მისთვის საჭირო საგნები.

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი ვაჭრობა-წარმოების და მოგების სახელმწიფოს ხელში გადასვლას ჰგულისხმობს. ის პროდუქტები, რომელსაც ქმნის სახელმწიფო ფაბრიკა-ქარხნები, უშუალოდ უნდა გადადიოდეს მუშა-მომხმარებლის განკარგულებაში. საშუალო ელემენტები—ჩარჩ-ვაჭრებსპეკულიანტები უნდა იქნას თავიდინ აცილებული. ამას შეასრულებს მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებელი კოოპერაცია.

კოოპერაციას სოფელი დიდს ყურადღებას არ აქცევს. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ კოოპერაციამ ხალხს იმედი არ გაუმართლა. კოოპერაციამ ვერ შეასრულა თავისი წმინდა მოვალეობა—მწარმოებელსა და მომხმარებელს შუა ორგანიული კავშირის შექმნა. კიდევ მეტი. კოოპერაცია ოვითონ გამოვიდა სასპეკულიაციო ასპარეზზე. ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით ამის დროს, ხოლო რევოლიუციის შემდეგ—მენშევიკურ ხელისუფლების ბატონობის პერიოდში.

ამრიგად, რაც გინდ დაჯდეს, რა გინდ შრომა დაიხარჯოს, გლეხის ეკონომიური მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს და ამ მიმართულებით მუშაობამ საგულისხმო შედეგები უნდა გამოიღოს. როგორც ვსთქვით, მარტო მიწით არ შეიძლება ღარიბ გლეხობის გაბედნიერება. უნდა მიექცეს დიდი ყურადღება მიწის მუშების დანარჩენ საჭიროებებსაც.

ჩვენს ქვეყანაში უხვად მოიპოვებიან პროვოკატორ-დემაგოგები, რომლებიც უჩინმაჩენის ქუდით დაძრწიან სოფლებში და გლეხკაცობაში უკმაყოფილების შხლსა სთესენ. მათი უმთავრესი სადემაგოგიო მასალათაგანი გლეხის მძიმე მდგომარეობაც არის. ამიტომ უფრო გვმართებს ჩვენ მეტი ყურადღებით მივეპყრათ მშრომელთ.

## პუბლიცისტური წერილები

2.

### შპენგლერიდან ლენინისაკენ.

შპენგლერი ტიპიური წარმომადგენელია თანამედროვე ბურჟუაზიულ კულტურის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მან აღარ იცის sturm und Drang-ის პერიოდი—მომხიბლველი. აქტიური, ფაუსტური.

უეჭველად, შპენგლერი, როგორც მოაზრე, გაცილებით მაღლა სდგას როზბერზე, კერზონზე, ან თუ გნებავთ მთელ სოციალისტურ პლეიადა მწერლებზე ჟან-ჟორესიდან ემილ ვანდერველდემდე იმ მთავარ მოტივის გამო, რომ რაც ბევრისათვის კიდევ პრობლემაა, საამოცანო საგანია—შპენგლერისათვის სრულიად გარკვეული ამბავია: თავის თხზულების ერთ ალაგას შპენგლერი ამბობს: „ჩვენ ვიცით ჩვენი ისტორია. ჩვენ ვკვდებით შეგნებულად და ჩვენი საკუთარი სხეულის გახრწნის ყველა სტადიები განვსჭვრიტოთ გაღმოცდილ მკურნალის მახვილი შეხედვით“. (გვ. 430). აი ეს არის ძირითადი საზრისი შპენგლერის, რომელიც მას მაღლა აყენებს მთელ რიგ ბურჟუაზიულ მწერლებზე. გამყიდველ სოციალისტებზე და რაიცა საზღვრავს და მიმართულებას აძლევს ისტორიის ტელეოლოგიას და მორფოლოგიას

შპენგლერს უკვირს, რომ მას უმიზნო მწერალს და პესიმისტს უწოდებენ. იგია პირწავარდნილი პესიმისტი პირველ ყოვლისა. მიზანი მას არ აქვს, როგორც ყოველ მომაკვდავ ადამიანს და კულტურას. „მიმართულება—ცხოვრებაა, მიზანი—სიკვდილია“ (გვ. 368). ბერნშტეინის მიერ გავრცელებულ ამ დებულებაზე შპენგლერი აფუძნებს მთელ თავის ისტორიოსოფიას.

შპენგლერის რუსულ გამოცემას ახლავს პროფ. დებორინის კრიტიკული წერილი, სადაც მოყვანილია ანალოგიური და პარალელური ადგილები დანილევსკიდან. ეს ანალოგია დებორინის კრიტიკას მხოლოდ ასუსტებს. ნამდვილად კი არც ერთს თავის დებულებაში შპენგლერი არ არის ორიგინალური, ორიგინალურია ის მხოლოდ იმ მხრივ, რომ მრავალ ცნობილ დებულებას თავს უყრის და კონცეპციის სახეს აძლევს.

ისტორიის მორფოლოგიას ის მცენარის, ადამიანის, ორგანიულ ნივთიერების ფორმაში ასხამს, რომელსაც ძველი, საშუალო და ახალი დრო კი არ აქვს, არამედ დაბადების, გაფურჩქვნის და სიბერესიკვდილის. მთელი მისი აზროვნება დამყარებულია ამ მთავარ დებულებაზე, რაიცა ახასიათებს თანამედროვე ბურჟუაზიულ შემეცნებას.

ჩვენ არ გვიკვირს, რომ შპენგლერში თანამედროვე ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ ჰპოვა საკუთარი აზრების დამლაგებელი. კაპიტალისტური კულტურის აღორძინებისას ბურჟუაზიული კლასიკური ლიტერატურა გამსჭვალული იყო საოცარი ენერგეტული სულით, სამარადისო იდეალებით. მთელი რაციონალისტური სკოლა მიზნებით იყო აღსავსე, საფრანგეთის და ინგლისის კაბინეოები ისევე დარწმუნებით მოქმედებდნენ მარადისობის ფარგალში, როგორც ვოლტერი, რუსსო, სმიტი, რომელთაც ელანდებოდა ბუნებრივი, ბედნიერი, მიზნებრივი მომავალი. ესენი იყვნენ მომავალ, მებრძოლ, კულტურულ ბურჟუაზიის წინამორბედნი. მათ აზრებს სამსოფლიო მნიშვნელობა ქონდა, რაც ხიბლავდა ეკატერინეს და ალექსანდრე I—სამეფოსაც.

შპენგლერი რომ ერუდიციის საშუალებით არ ახდენდეს ეფექტს, რომელიც ისტორიის მორფოლოგიისათვის სხემას ხაზავს და, მაშასადამე, ფილოსოფიურ გნოსტიკის სფეროში გადადის—უეჭველია ის იქნებოდა სრულიად ყველასათვის გასაგები, ესე იგი მცირე მიზნების ადამიანი, რომელიც საწერ მაგიდასთან დამჯდარა მხოლოდ იმისათვის, რომ მომაკვდავ ბურჟუაზიულ კულტურას სულთათანა უგალობოს.

მიუხედავად დიდი ოსტატობისა, გამოცდილებისა, ხერხისა—შპენგლერი სრულიად ადვილად ტიტვლდება, როგორც თავის თხუზულების პირველ ტომში, ისე თავდამცველ შემდგომ წერილებში, რომლებშიაც უკვე ჩვეულებრივი, ხოლო მეტად დაბალი ლიტერატურული ღირებულების პოლიტიკური ბასსია გამართული.

შპენგლერს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს უმთავრესად. მთელ მის შემეცნებას პოლიტიკური დაღი აზის. ამით ახდენს ის გავლენას, ამით არის იგი ჩვენთვის საყურადღებო. უეჭველაა, შპენგლერი დიდი გამარჯვებაა ნამდვილი სოციალისტური მიმართულების, რომელიც ახალგაზრდული ენერგიით იბრძვის და ვაჟკაცის მიზანი აქვს, შპენგლერი ყველა იმ წრეების საოცარი კრიტიკაა, რომელთაც თანამედროვე ბურჟუაზიის და მის კულტურის რაიმე იმედი აქვს.

შპენგლერი —ბურჟუაზიის გამათრახებაა პირველყოვლისა, მაჩვენებელი მოხუცებულობის, რომელსაც დიდი-დიდი სესილ როდსის ტვირთი შეუძლია აიკიდოს უდაბნოის გასავლელად.

შპენგლერს როცა ვკითხულობდი მუდამ მარქსის წერილები მაგონდებოდა ანენკოვისადმი. ამ წერილებში მარქსი ფცქვნის პრუდონის „სიღატაკის „ფილოსოფიას“ იმის გარკვევით, რომ პრუდონს გაგება არ ქონდა არსებულ წყობილების მიზეზობრივ და დინამურ მოვლენების. ეს არის მთავარი მომენტი პოლიტიკურ შემეცნებაში და აქ არის ყოვლად უმწეო ოსვალდ შპენგლერი. ამ შემთხვევაში შპენგლერის უმწეობა პირდაპირ საზღაპროა, თუმცა მეტად დამახასიათებელი. ბურჟუაზია იღუპება პოლიტიკით და ეკონომიკით, შპენგლერი კი საკითხებს არკვევს პლასტიკის, რიტორიკის, სტილის და მუსიკის ისტორიით. აბრუნდი(ც) ასეთი უნდა!

ვინც ისტორიის კანონებისათვის კოპერნიკის და კეპლერის ანალოგიით, ან მუსიკის. მხატვრობის და ქანდაკობის მასალას იყენებს მხოლოდ, და განზე სტოვებს არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, პოლიტიკას და ეკონომიკას—ის ვერასოდეს ვერ მისწვდება ისტორიის საიდუმლოებას, ის ვერასოდეს ვერ შექმნის ისტორიის მორფოლოგიას. ისტორიის გზა ნოუმენები კი არ არის, არამედ ფენომენები.

შპენგლერი არც იმაშია მართალი, რომ ხელოვნება ხელოსნობამ შესცვალა, შუბლში სიფართეს ამჩნევენ და არა აზრს, სახეზე მიმიკას და არა შთაბეჭდილებას, ესე იგი აღარ არის სიღრმე, განცდა, გრძნობა, არის მხოლოდ კვალი, გავლენა, გაღიზიანება. მთელ თავის მიმოხილვით მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ ბაჯაღლო ოქროები გამოუყენებია კლასიკური ხელოვნების შესასწავლად, რაიცა დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე, ხოლო თანამედროვე ცხოვრების მარილისათვის ექსკურსიის მასტაბი შემოუხაზავს.

შპენგლერი ხშირად დაბრმავებულ სპეციალისტის ტიპებს მოგვაგონებს, რომელსაც „დიდი პრეტენზიები აქვს დამატებული: მოგაჩვენოს საკუთარი გატაცება ისტორიის კანონად. ამასვე ვიტყოდით ჩვენ თუნდაც შესანიშნავ ენათმეტყველზე მაქს მიულერზე, რომელიც ამბობს: სიტყვის ძირში არა თუ გიოტეზე მეტი ლირიკაა, არამედ მთელ მსოფლიოში არსებულ ლირიკაზე მეტიო, რომ ამ გატაცებიდან მიულერს გამოყავდეს ისტორიის კანონები.

მეცხრამეტე საუკუნე უეჭველად იყო გაფართოვების და გავრცელების საუკუნე, მაგრამ იგი საუკუნე იყო გაღრმავების, აღმოჩენის, დიდი მიზნების და პროგრესის საუკუნეც. თუ კოლუმბები არ არიან, შესაძლოა აღარ იყო ობიექტები. მაგრამ კოპერნიკები და კეპლერები შესაძლოა სავსებით დავაკმაყოფილოთ თუნდაც ეინშტეინით, რომელიც ტელესკოპით და მათემატიკით სამსოფლიო კანონებს უძღვნის კაცობრიობას. ფიზიკამ და ქიმიამ ქვეადაგის და ზეადაგის სამყარო დაუმონავა კაცობრიობას, ისტორიასა და ფილოსოფიაში რა უყოთ რომ პლატონის და არისტოტელის მსჯელობა შეიცვალა დარვინის და მარქსის შემეცნებით. მთელი საოცარი სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა შპენგლერისათვის მიუწდომელია. მას მიზანი არ აქვს, ხოლოდ ვისაც აქვს—იგი მიაჩნია უაზროდ და სიკვდილის ემბლემად.

აქვს თუ არა ისტორიას მიზანი, აქვს თუ არა კულტურას მომავალის ძალა, არის თუ არა შემოქმედება, სიღრმე, გრძნობა პერსპექტივა? რით უნდა გავიმსჭვალოთ, რად უნდა ვიყოთ?

თედო ღლონტი.

## რადიო დეპეშები

### რურის ოლქის ოკუპაცია

**უარყოფა**

**ბერლინი.** 24 მარტი. გერმანიის მთავრობა უარყოფს საფრანგეთის შრომის სამინისტროს განცხადებას, რომ თითქოს მხოლოდ კერძო მაღაროებიდან „კონკორდია“ ყოველ დღე იგზავნებოდეს საფრანგეთში 36000 ტონი კოკსი. გერმანიის მთავრობის განცხადებით საფრანგეთში რურის ოლქიდან მიდის სულ 3600 ტონი, მასთან ეს რაოდენობა არ არის საკმარისი მხოლოდ ლოტარინგიის მადნეულობის გადასადნობ ღუმელებისათვისაც კი.

**სამთო-მადნო მუშების მოწოდება**

**ბერლინი,** 24 მარტი. ვესტფალიის სამთო-მადნო მუშათა კავშირმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიც განმეორებით ხაზგასმულია ის გარემოება რომ სამთო-მადნო მუშები მზათ არიან იბრძოლონ რურის ოკუპაციის წინაალმდეგ, მოწოდებაში ნათქვამია, რომ სამთო-მადნო მუშები მიიღებენ ყოველგვარ ზომებს იმისათვის, რომ საფრანგეთმა შემდევში ვერ შესძლოს ნახშირის და კოქსის გაზიდვა რურის ოლქიდან.

**„ტანი“ კუნოს სიტყვის გარშემო**

**პარიზი.** 24 მარტი. გაზეთი „ტანი“ ვრცელ წერილში დაწვრილებით არჩევს გერმანიის კანცლერის კუნოს მიერ მიუნხენში წარმოთქმულ სიტყვას, რომელშიაც უკანასკნელი მოუწოდებდა გერმანელებს პასიურ წინაალმდეგობისაკენ. გაზეთი აღნიშნავს, რომ ნაციონალისტების წინაალმდეგ გადადგმული ნაბიჯები ბერლინში ამტკიცებს გერმანიის მთავრობის სურვილს თავიდან აიცილოს მემარცხენე და მემარჯვენე ელემენტებს შორის უთანხმოება საფრანგეთის წინაალმდეგ ბრძოლის მთლიანი ფრონტის დასაცავად. გაზეთის აზრით კუნომ თავის სიტყვაში გაატარა ის აზრი, რომ გერმანია ადვილათ შეუთანხმდება საფრანგეთს საკონტრიბუციო საკითხებში, რომ უკანასკნელი არ ცდილობდეს გერმანიის დანაწილებას.

### ახლო აღმოსავლეთი

**ელიან პასუხს**

**ანგორა** 24 მარტი. ოსმალეთის საზოგადოებრივი აზრი მოუთმენლად ელის მოკავშირეთა პასუხს. კონსტანტინოპოლის ფრანგოფილური გაზეთი „ტანინი“ ფიქრობს, რომ ახალი კონფერენცია შესდგება პარიზში.

**პალესტინაში**

**ანგორა** 24 მარტი. „ენი ადანას“ ცნობით პალესტინის მთელ მოსახლეობამ უარი სთქვა პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე, მიუხედავად ადგილობრივი ხელისუფლების ზეგავლენისა.

**უწესოება ეგვიპტეში**

**ბერლინი** 24 მარტი. რეიტერის სააგენტო იტყობინება ეგვიპტეში მომხდარ უწესოების შესახებ. კაირში მოხდა შეტაკება პოლიციასა და ბრიტანეთის ჯარებს შორის, დაჭრილია 30 პოლიციელი.

**ლონდონის თათბირი**

**ბერლინი** 23 მარტი. ფიქრობენ, რომ დღეს თათბირზე საბოლოვოთ გამომუშავებულ იქნება მოკავშირეთა პასუხი ოსმალეთის კონტრ-წინადადების შესახებ. ორშაბათს კერზონის თავმჯდომარეობით შესდგება პლენალური სხდომა, რომელზედაც დასრულებულ იქნება თათბირის მუშაობა. ფიქრობენ, რომ ამ სხდომაზე გამოვა ვენიზელოსი. ხმების თანახმად თათბირი წავიდა დიდ დათმობებზე ოსმალეთის მიმართ.

**კერზონი მხარს უჭერს მოკავშირეთა მთლიან ფრონტს**

**რომი** 24 მარტი. იტყობინებიან, რომ ლონდონის თათბირის პირველ სხდომის თავმჯდომარემ ლორდ კერზონმა მოითხოვა მხარი დაუჭირონ მოკავშირეთა მთლიან ფრონტს.

**გადაწყვეტილება ნახულია**

**პარიზი** 24 მარტი. ლონდონის პრესის ცნობით, ლონდონის თათბირმა განსაკუთრებული ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადლება მიაქცია საკითხს კაპიტულიაციების. ექსპერტების აზრით გამონახულია ფორმულა, რომელიც დააკმაყოფილებს ოსმალეთს. ინგლისის გაზეთების ცნობით დღეს დაიწყება ფინანსიური და ეკონომიური პუნქტების გადასინჯვა და ორშაბათს კი პლენარულ სხდომაზე თათბირის მუშაობა სავსებით დამთავრდება.

**ეკონომიურ ქვეკომისიაში**

**ბერლინი** 24 მარტი. თუმცა ლონდონის თათბირის სხვა და სხვა ქვეკომისიებმა გადასწყვიტეს წავიდნენ დათმობებზე, ეკონომიურ ქვეკომისიამ გადასწყვიტა უარყოს ანგორის მოთხოვნილება ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხების ერთ მეორისაგან გაყოფის შესახებ.

**სპარსეთი და საბჭოთა რუსეთი**

**ბერლინი** 24 მარტი. ინგლისის პრესის ცნობის თანახმად, ფიქრობენ, რომ სპარსეთის ახალი კაბინეტი დაამყარებს საუკეთესო და მჭიდრო ურთიერთობას საბჭოთა მთავრობასთან.

## უცხოეთი

**გაფიცვა გრძელდება**

**მოსკოვი.** 24 მარტი. მოზელის რაიონში გრძელდება სამთო მადნო მრეწველობის მუშების გაფიცვა იმ კავშირის ხელმძღვანელობით, რომელიც შედის შრომის უნიტარულ კონფედერაციაში.

**ბრძოლა სამუშაო ხელფასისათვის**

**მოსკოვი** 24 მარტი. საფრანგეთის მუშების ბრძოლა სამუშაო ხელფასისათვის თანდათანობით ძლიერდება. რუანში გაფიცული არიან ხის დამმუშავებელი მუშები. როშფორში გაფიცული არიან გემზე მომუშავეები და მტვირთავები, ლილაში—ელექტრონის და მეტალურგიული წარმოებათა მუშები. გავრში ენერგიული გაფიცვის გატარების შემდეგ, მეზღვაურებმა გაიმარჯვეს.

**მეფის დამქაშები კმაყოფილნი არიან**

**მოსკოვი.** 24 მარტი. მეფის მიერ გამართულ სადილის გამო, რომელზედაც მიწვეული იყო აგრეთვე მუშათა პარტიის წევრი კლიაინსი, უკანასკნელმა განაცხადა: „მუშათა პარტია არასოდეს არ ილაშქრებდა იმის წინააღმდეგ, რომ მის წევრებს ჰქონოდათ კონტაქტი მეფის ოჯახთან. ინგლისი ისეთი რესპუბლიკა სადაც სამეფო ტახტი ისეთივე ნაწილია კონსტიტუციის, როგორიც თემთა პალატა და მე ძლიერ კმაყოფილი ვარ მეფის მიერ მიპატიჟებით.

**თათბირი გადაიდო**

**მოსკოვი.** 24 მარტი. ლონდონიდან იტყობინებიან რომ ექსპერტების თათბირი ოსმალეთის საქმეთა განსახილველად გადაიდო ოთხშაბათამდე.

**ბრძოლა სამუშაო ხელფასისათვის.**

**მოსკოვი,** 24 მარტ. ბრძოლა სამუშაო ხელფასის დაცვისათვის გრძელდება. მწარმოებლების მიერ წარმოდგენილი წინადადება სამუშაო ხელფასის შემცირების შესახებ, უარჰყო საალმშენებლო მრეწველობის 141,000 მუშამ. წინადადებას მიემხრო 43,000. მწარმოებელთა კავშირმა დაადგინა საკითხი სამუშაო ხელფასის ეხლანდელი პირობების შენარჩუნებისათვის გადაეცეს ცალკე მწარმოებლებს განსახილველად. მუშათა ლიდერმა, გიკომ განაცხადა, რომ თუ მწარმოებლები შეეცდებიან სამუშაო ხელფასის შემცირებას, მაშინ მუშების ამ გამოწვევას უპასუხებენ ენერგიული ბრძოლით. ნორფოლკის სასოფლო მეურნეობის მუშებმა, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას სამუშაო ხელფასის შემცირების და აგრეთვე სამუშაო კვირის გადიდების წინააღმდეგ, დაადგინეს მოითხოვონ სამუშაო ხელფასის დაწესება კვირაში 30 შილინგის რაოდენობით, ხოლო სამუშაო კვირა ზამთარში უნდა უდრიდეს 48 საათს, ზაფხულში 50-ს. სასოფლო მეურნეობის მუშების გაფიცვა საჩქაროდ ვრცელდება. ამასთან ერთად მომწიფდა კონფლიქტი სამუშაო ხელფასის ნიადაგზე მრეწველობის სხვა დარგებშიაც.

**ემხრობიან კომუნისტებს.**

**მოსკოვი.** 24 მარტი. ინგლისის მუშათა მასებში თვითმოქმედების გაღვიძების ნიშნად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მუშათა პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მთელ რიგ შემთხვევებში უარი სთქვეს გაეტარებიათ პარტიის მეთაურების ოფიციალური დადგენილება თავიანთი შემადგენლობიდან კომუნისტების გამორიცხვის შესახებ სრიტში, მიუხედავად მუშათა პარტიის ადგილობრივ განყოფილების წინააღმდეგობისა წარმოდგენილი იყო კანდიდატების საერთო სია მუნიციპალურ არჩევნებზე და საერთო პროგრამა, რომელზედაც ხელს აწერდენ: ტრედიუნიონის საბჭო, უმუშევართა კავშირი, ბინის დამქირავებელთა დაცვის ლიგა და კომუნისტური პარტია. ედინბურგში ტრედიუნიონების საბჭომ კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია შოტლანდიის მუშათა პარტიის კონფერენციის დადგენილებას, კონფერენციაზე ორი კომუნისტ-დელეგატის დაუშვებლობის შესახებ. სელფორდში მექანიკოსების ორგანიზაციამ მოითხოვა ერთან საარჩევნო კომიტეტის დაარსება, რომელშიაც შევიდოდენ მუშათა პარტიის, კომუნისტური პარტიის და უმუშევართა ორგანიზაციების წარმომადგენლები. იქვე მუშათა პარტიის საერთო კრებაზე ჭზრუნველის კანდიდატების არჩევნებზე, არჩეული იყო კომუნისტური პარტიის წევრი კომუნისტების გამორიცხვის წინააღმდეგ შემოდის აგრეთვე მთელ რიგ სხვა ადგილობრივ ორგანიზაციებიდან.

**მწარმოებლები ლოკაუტით იმუქრებიან**

**მოსკოვი.** 24 მარტი. დამქირავებელთა მიერ მუშებთან არსებულ შეთანხმების დარღვევის გამო საალმშენებლო წარმოებაში კონფლიქტი აუცილებელია. როგორც ვიცით დამქირავებელნი მოითხოვენ იანვარში ხილფასის 10 პროც.-ით შემცირებას და სამუშაო დღის გაგრძელებას. ეს მოთხოვნილება გამოყენებულ იქნა მუშების მიერ, რის შემდეგ დამქირავებელნი დასთანხმდენ ხელფასის 5 პროც.-ით შემცირებაზე. ეს მოთხოვნილებაც აგრეთვე იქნა უარყოფილი მუშების მიერ. კონფლიქტი დღემდის არ არის მოგვარებული. მწარმოებლებმა გადასწყვიტეს 1 აპრილიდან გამოაცხადონ ლოკაუტი. თუ მთავრობა არ ჩაერია ამ კონფლიქტში 500000 მუშა უმუშევრათ დარჩება.

**საიდუმლო სტამბის აღმოჩენა**

**მოსკოვი.** 24 მარტი. დუბლინში აღმოაჩინეს ირლანდიის რესპუბლიკანელების ახალი საიდუმლო სტამბა. ხელისუფლებამ დააპატიმრა სტამბის გამგე და 14 მუშა-ქალი.

# ახალი ამბები.

— **სოციალური დაზღვევა.** ვინაიდან სამხედრო უწყებები არ ასრულებენ სოციალ დაზღვევის მოთხოვნილებებს, შრ. კომ. სამმართველოს კოლეგიამ დაადგინა ამის შესახებ საკითხი დასვეს ა. კ. შრომის კომისარიატში და ა. კ. პროფ. კავშ. ბიუროში სათანადო ზომების მისაღებად.

— **რესპუბლიკის დამზღ. კასების კონფერენცია.** 20 აპრილს ტფილისში მოწვეულია საქართ. რესპუბლიკის დამზღვევ კასების კონფერენცია. კოლეგიის დადგენილებით, სოციალურ დამზღ. განყოფილებას დაევალა ამ დროისთვის შეიმუშავოს სათანადო მასალები.

— **პროვინციის დათვალიერება.** თანახმად შრ. კომ. კოლეგიის დადგენილებისა, ცენტრ. შრ. ბირჟის გამგემ ამხ. ბერბერაშვილმა და არტელების ბიუროს თავჯდომარემ ამხ. კურპელმა დაათვალიერეს სოხუმის, ბათომის, ფოთის და ქუთაისის შრომის განყოფილებები. დასახელებულ ამხანაგებმა კოლეგიის დავალებით განყოფილებებს მისცეს საჭირო ინსტრუქციები შრომის ბირჟის და არტელების მოსაწყობად.

— **შრომის ბირჟის ბინის შეკეთება,** ალმ. პრეზიდიუმის დადგენილებით კომუნალურ განყოფილებას დაევალა სასწრაფოდ გამონახოს ახალი ბინა შრომის ბირჟისათვის თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ უნდა მოხდეს შრომის ბირჟის არსებულ შენობის შეკეთება.

— **მუშტაიდის ბაღი.** ალმ. პრეზიდიუმმა დაადგინა: გადაეცეს რკ. გზის პროფესიონალურ კავშირს მუშტაიდის ბაღი. საადგილ-მამულო განყოფილებას დაევალა კომუნალურ განყოფილებასთან ერთად შეიმუშაოს გადაცემისათვის ხელშეკრულების პროექტი.

— **ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგური.** ქალაქის ალმასკომის პრეზიდიუმმა მიიღო პროექტი, პეტროგრადის მანქანების საალმშენებლო ტრესტთან დადებულ ხელშეკრულებისა ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის საჭირო მასალების შესაძენად.

— **მოსკოვში მივლინება.** ალმ. პრეზიდიუმმა დაადგინა მივლინებულ იქნენ მოსკოვში ამხ. თოდო ღლონტი და ინჟ. ფირალოვი, რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურისათვის გადადებულ სუბსიიდის მისაღებად.

— **უმუშევარ ახალგაზრდათა კვირეული.** ალმასკ. პრეზიდიუმმა დაადგინა „ახალგაზრდათა კვირეულის სასარგებლოდ გადასდოს 100 მილიონი მანეთი.

— **ზუგდიდის ხაზინის გამძარცველები.** ზუგდიდის ხაზინის გაძარცვის საქმის გამო (იქედან თებერ. 11-ს, ბოროტგამზრახველების მიერ, კედლის გარღვევით გატანილი ჰქონდათ 9 მილიარდი მან.) გაემგზავრა ცენტრ. სისხ. სამართლის მილიციის უფროსი, რომლის მიერ შეპყრობილი იქნა გაძარცვის აშკარა მონაწილე თერთმეტი კაცი, რომელთა შორის ქავთარაძე ნიკოლოზ, მოსლია, ქედია (ხაზინის ნაფიცი მოანგარიშენი) არიან ბოროტ განზრახვის უეჭველი მონაწილენი. დაჭერილები, ყოველგვარი საჭირო ქაღალდებით გადაგზავნენ საქ. საგანგებო კომისიაში, ხოლო დანარჩენ პირთა აღმოსაჩენად გრძელდება მუშაობა ცენტრ. სისხ. სამ. მილიციის მიერ,

— დაკარგული მოწმობა... მოცემული ვალერიან ლევანტის ძე ჯაშის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **ბაღი „სტელლა“.** განათ. განყ. წინადადება მიეცა, გადასცეს ბაღი „სტელლა“, საქართველოს პროფ-კავშირთა საბჭოს, მუშათა უფასო გასართობების მოსაწყობათ—ბაღის ფვნებლათ შენახვის გარანტიით.

— **„პაიოკის“ გაცემა.** 1-ლ აპრილიდან, „პაიოკის“ გაცემა, ყველა იმ ჯგუფებზე, რომელნიც სახელმწიფო მომარაგების ხარჯზე, იქნება პურეულათ ან ფქვილათ, საბაზრო ფასებზე შედარებით 20 პროც. ნაკლებ. გაცემა მოხდება ყოველი თვის პირველ რიცხვებში ნისიათ, ხოლო იმ პირობით, რომ მთელი საფასური გადახდილ იქნას მთელი თვის განმავლობაში, ფულის მიმდინარე ანგარიშ ბზე შეტანით რ. ს. ფ. ს. რ. „ზაკხლებო-პროდუქტის“ № 222.

— **8 სკოველ „ჟულიკების“ გასტროლები**—ტფილისში: როგორც ც. ს. ს. მილიციის ცნობებიდან სჩანს ამ ბოლო ხანებში ჩვენს დედა ქალაქში მოხშირდა მოსკოველ „ჟულიკი“ ანუ რეციდივისტები. ამ რამოდენიმე დღეებში სახელდახელოდ დაჭერილი იქნა ჯიბგირები სამუილ შტეინი თავისივე ცოლით შტეინით და ვინმე საზონოვის ქალით ტატიანათი, რომელსაც თავი გამოჰქონდა, როგორც მათი მოსამსახურეს. ეს პირები გადაგზავნილი იქნა საზღვრებიდან. ამ დღეებშივე დაჭერილი იქნა ცნობილი რეციდივისტი, ჯიბგირი ხაჩატუროვი, რომელიც დანაშაულში გამოტყდა და გადაიგზავნა მე-4 უბნის სახალხო სასამართლოში.

— **ბანდიტი ჩომახიძე.** ა. წ. მარტის 2-ს ცენტრალურ სისხლის სამართლის მილიციის მიერ დაჭერილი იქნა ბანდიტი. შალვა ჩომახიძე რომელსაც იფარავდენ სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტის სტუდენტი ვლადიმერ ჩომახიძე, და მე-8 კლასის ტეხნიკუმის მოწაფე შალვა ფუთურიძე, აღნიშნულ ჩომახიძეს ბრალი ედება მ-ქე ჩივაძის ძარცვაში, გასული წელს, მამადავითზე; საქ. საგანგებო კომისია რამოდენიმე თვის განმავლობაში დაეძებდა მძარცველს, უკანასკნელი ყველა თავისი დამქაშებით გადაიგზავნა საქ. საგ. კომისიაში.

— მარტის 12-ს იმავე მილიციის თანამშრომლების მიერ დაჭერილ იქმნა მთელი შაიკა, რვა აფერისტ ბანდიტისა, ვინმე ბეკ-ნალბანდოვ არუტიუნოვის მეთაურობით. აღნიშნული პირები საგანგებო კომისიისა და ცენტრ. სისხ. სამართლის მილიციის სახელით აწარმოებდენ ყალთაბანდურ ჩხრეკებს, სძარცვავდენ მცხოვრებლებს და ამასთანავე სტყუებდნენ ფულსაც. ყოველგვარი საქმის ქაღალდებით ეს პირები გადაეგზავნა საქ. საგანგებო კომისიას.

## პარტიაში

კვირას, მარტის 25-ს, საღ. 6 საათზე პარტიის ცენტრალურ ბიუროში დანიშნულია მეოთხე რაიონის პარტიულ ამხანაგების კრება. ამხანაგებს ევალებათ გამოცხადდნენ აღნიშნულ დროზე.

მდივანი: **ხოფერია.**

# ეროვნული საკითხი.

(ამხ. კამენევის მოხსენებიდან. რომელიც მან გააკეთა საქართ. კომპარტიის მე-2 თავისუფალ კონფერენციაზედ. *)

მეორე დიდი და რთული საკითხი, რომელიც სდგას პარტიულ ყრილობის წესრიგში არის ეროვნული საკითხი.

მე ავღნიშნე, რომ ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის, პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის საკითხი არის უმთავრესი ჩვენი დიქტატურისათვის.

მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ბედი დამოკიდებულია აგრეთვე იმაზედაც, თუ როგორ იქნება დაცული წინათ დაჩაგრულ ერების უფლებები, როგორ იქნება მოწყობილი საბჭოთა ხელისუფლების კავშირი.

ჩვენ ხშირად ვერ ვაქცევთ ჯეროვან ყურადღებას ამ საკითს, განსაკუთრებით იქ, საბჭოთა რუსეთის შუაგულში, იქ ამ საკითხის მნიშვნელობის შემჩნევა ძნელიცაა.

რა თქმა უნდა, ჩვენ ყოველ კრებაზე ყოველ ადგილას ვუხსნით მუშებსა და გლეხებს ამ სიტყვის მნიშვნელობას.

მაგრამ სამწუხაროთ რუსეთში ხშირად გვავიწყდება, რომ—გლეხობის თუ მეტი, თორემ არა ნაკლები ნაწილი რუსები არ არიან.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს. რომ თუ დავამარცხეთ კონტრ-რევოლიუცია, თუ პროლეტარიატმა დასცა ბურჟუაზია, დასცა იმიტომ, რომ მას დაეხმარა გლეხობა და აგრეთვე, იმიტომ, რომ კონტრრევოლიუციამ ვერც ერთ განაპირა ქვეყანაში ვერ გადასწყვიტა ეროვნული საკითხი.

დამონებული ერები საბჭოთა ხელისუფლებაში ხედავდნენ ერთად ერთ ძალას, რომელსაც შეეძლო ეროვნული შუღლის და სახელმწიფოთა შორის ბრძოლის შეჩერება.

მართლაც მიუდგომელმა ისტორიამ უნდა აღნიშნოს, რომ ჩვენ გამარჯვებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ იუდენიჩმა, კოლჩაკმა და დენიკინმა ვერ გადასწყვიტეს განაპირა ქვეყნებში ეროვნული საკითხი ისე, როგორც ვერ გადასწყვიტეს მიწის საკითხი.

მართლაც, თუ განვიხილავთ ჩვენ იმ საკითხს, თუ სად გაჩერდა საბჭოთა ხელისუფლების ტალღა და სად იპოვა კონტრ-რევოლიუციამ ერთგვარი ძალა, დავინახავთ, რომ ეს მოხდა სწორედ ეროვნულ საკითხში.

პარტიას არ დავიწყებია ეს გარემოება და მრავალ ჩვენ დადგენილებებში თქვენ ნახავთ ეროვნულ საკითხის მნიშვნელობის ხაზის გასმას. 1919 წელში ჩვენ შევიმუშავეთ ის გეგმა, რომელშიაც ნათლადაა გარკვეული, თუ როგორ უნდა მიუდგეს კომუნისტური პარტია ეროვნულ საკითხის გადაჭრას.

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ განვითარების რომელ საფეხურზე დგას ესა თუ ის ერი, ის კუთხე სადაც ეს ერი ბინადრობს.

ამ საკითხში განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო.

ამხ. **ლენინმა** კომინტერნისათვის საგანგებო დებულებებიც კი შეიმუშავა ამ საკითხის გამო.

ეს დებულებები მიიღო კომინტერნის მეორე ყრილობამ.

ერთი წლის შემდეგ, მეათე პარტიულ ყრილობაზე, პარტიამ ისევ განიხილა ეს საკითხი და აღნიშნა თრგვარი გადახრა.

განსაკუთრებით კი ხაზი გაუსვა „ველიკოდერჟავნიკურ“ მიმართულებას და მის საფრთხეს მსოფლიო რევოლიუციის განვითარების საქმეში.

გადის წელიწადი. ჩვენ ვდგევართ პარტიის მეთორმეტე ყრილობის წინაშე.

ცენტრალური კომიტეტი ისევ სვამს ამ საკითხს დღის წესრიგში.

ყოველივე ეს ამტკიცებს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს და იმასაც, რომ პარტიის ძვალ-რბილში არ არის კიდევ გამჯდარი საკითხის სწორი შეგნება.

რატომ უნდა ვაქცევდეთ ამ საკითხს ასეთ ყურადღებას?

ამ საკითხზე ლენინის ერთ-ერთ წერილში ბევრ საგულისხმო აზრებს ნახავთ. ის აღნიშნავს, რომ ჩვენთვის უმთავრესად საჭიროა რომ შევინარჩუნოთ ძალა-უფლება მსოფლიო რევოლიუციამდე.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მზადდება ნიადაგი კომუნიზმისათვის, მაგრამ კომუნიზმისაკენ ისინი მიდიან არა იმ გზით, როგორც ეს ჩვენ გვქონდა თავდაპირველად წარმოდგენილი. ეს არაა პირდაპირი რევოლიუციონური გაქანების გზა, აქ მზადდება კომუნიზმის დამყარების პირობები ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის ყვლეფის ნიადაგზე

ეგრეთ წოდებული ანტანტა სისხლს სწოვს გერმანიას და მთელ აღმოსავლეთ ქვეყანას.

ამიტომ ჩვენ უნდა გავძლოთ მანამ, ვიდრე დაეტაკებოდეს ერთმანეთს კონტრ რევოლიუციონური დასავლეთი და რევოლიუციონური აღმოსავლეთი.

ვფიქრობ, რომ ამ გარემოებას უპირველესად ყოვლისა იმ ამხანაგებმა უნდა მიაქციონ ყურადღება, რომლებიც განაპირა ქვეყნებში მუშაობენ.

რევოლიციონური მოძრაობა 1919 და 1921 წლის აჯანყებების ჩახრჩობის შემდეგ ნელი ნაბიჯით ვითარდება.

ევროპის ყაჩაღებმა დიდი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელში. ეს საშუალებას აძლევს მათ დააკმაყოფილონ ოდნავად მაინც პროლეტარიატი და ამ გზით შეაჩერონ რევოლიუციის მიწოლა.

დასავლეთ-ევროპის რევოლიუცია მზადდებ თანდათანობით, ერთი ერის მეორე ერის მიერ დაპყრობით.

**ლენინის** აზრით საჭიროა რომ რევოლიუციონურ მოძრაობაში აღმოსავლეთის ხალხებმაც მიიღონ მონაწილეობა.

**რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ ჩვენ ლენინის ზემოხსენებულ აზრებიდან?**

**რას ნიშნავს ყველაფერი ეს?**

პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა დავანახოთ აღმოსავლეთის ხალხებს, რომ ეროვნულ ინტერესების დაცვაში საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე წინ მიდის და მეტ თავისუფლებას ანიჭებს ცალკე ერებს.

ინგლისს, საფრანგეთს და სხვა ქვეყნებს აღმოსავლეთში გავლენის მოსაპოებლად აქვს იარაღი, ფული, უნივერსიტეტები. ერთი სიტყვით ყველაფერი რაც კი საჭიროა ერის დამონებისათვის.

**რა გვაქვს ჩვენ?**

ჩვენ არ შეგვიძლია მოვიმხროთ ეს ხალხები ფულის საშვალებით.

ჩვენ არ შეგვიძლია მივმართოთ დიპლომატიურ ხრიკებს, რომლებშიაც ასე დახელოვნებულნი არიან დასავლეთის სახელმწიფოები.

**ჩვენ შეგვიძლია დაუპირისპიროთ მათ სწორათ გადაჭრილი ეროვნული საკითხი.**

ამიტომ უნდა მივაქციოთ ჩვენ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება.

მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ სწორედ და მიზანშეწონილად გადავწყვიტოთ ეს საკითხი.

გაერთიანებულ რესპუბლიკებსა და ცალკე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შორის უნდა არსებობდეს განსაზღვრული ურთიერთობა.

ჩვენთვის ეს დამოუკიდებლობა არის არა ცარიელი სიტყვა, ეს მცნება ჩვენ არ მიგვიღია გარეშე ძალების გავლენით.

არც ჩვენ პირად მიზნების გულისთვის გვაქვს ის მიღებული.

ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ეს კავშირი აუცილებელია და რომ დამოუკიდებელი ეკონომიური წრეები არსებობენ და მომავალშიაც იარსებენ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით.

ჩვენ ისეთ ქვეყანას და სახელმწიფოს წარმოადგენთ, რომელიც წარსულში, ასი წლის განმავლობაში ყოფილ რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა ნახევარ ნაწილს ავიწროვებდა და ჩაგრავდა.

ეს შევიწროვება მოსპო საბჭოთა ხელისუფლებამ, მაგრამ ჩვენ ამ საკითხთან მაინც სიფრთხილით უნდა მივიდეთ.

ჩვენ ვაცხადებთ: საბჭოთა ხელისუფლების დროს ყველა თანასწორია.

ლენინი ამბობს:

იცოდეთ: სიტყვები და განცხადებები არ არის საკმარისი.

ერების გათანასწორება შეუძლებელია სიტყვებით და დადგენილებებით.

ეს საკითხი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, მოითხოვს მოქმედებას, საქმეს და არა დადგენილებებს“.

ამხანაგებო, ასეთი წონასწორობის ნახვა კავშირისა და დამოუკიდებელ რესპუბლიკების შორის მეტად ძნელია.

ძნელია მით უმეტეს, რომ აღმოსავლეთის ხალხები, რომლებიც უნდობლათ უყურებენ ყოველ ხელისუფლებას, რომელიც მოდის იმ ადგილიდან, სადაც წინეთ მხოლოდ მონობა და ჩაგვრა იყო გაბატონებული.

ჩვენ აუცილებლათ უნდა გამოვნახოთ ასეთი წონასწორობა.

---

*) მოგვყავს გაზ. „მუშიდან“.

## პროვინციის ცხოვრება

**ახალ-სენაკი.** მთელს მაზრაში სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. გახსნილია 9 სკოლა. ქ. სენაკში გაიხსნა ერთი სკოლა მუშებისათვის.

**ქუთაისი.** მიწის რეფორმის გატარება ქუთაისის მაზრაში წარმატებით სწარმოებს. ფართო მასსა დიდ დახმარებას უწევს მიწის კომისიებს, რომელთა მუშაობა ახლო მომავალში დასრულდება, იანვრიდან მარტამდე ჩამოერთვა 480 მემამულეს 6.005 ქცევა. იანვრამდე იყო ჩამორთმეული 10.913 ქცევა რომელიც განაწილებული იქმნა 9.025 უმიწო გლეხებს შორის. ყოფილ მემამულე ნ. ნიჟოლაძეს ჩამოერთვა კულტურული მამულები სახლით და მოწყობილობით. ჩამორთმეულ მიწაზე დასახლებულია 231 გლეხის ოჯახი, რომლებიც დაზარალდა წყალდიდობისაგან.

## ზოგი რამ

**სიტყვის გაშლა-შეკუმშვა.** ყოველი გაზეთი, თუ ჟურნალი 1882 წლიდან მოკიდებული, როცა მწერლობა დავიწყე ხან და ხან ცდაში ყოფილა, რომ ჩემი სტატია გამოებრძმედა თავისებურად და ისე გამოექვეყნებინა, იმავ დროს კი ზოგიერთი კორესპონდენტის წერილი, თითქოს უებრო კლასიკური ნაწარმოები ყოფილიყვეს, უცვლელად დაუბეჭდია. ასეთი საქციელი რედაქციებისა, ალბათ, იმით თუ აიხსნებოდა, რომ სურვილი ჰქონიათ ქართულის ენის ცოდნაში უკან არ ჩამომრჩენოდენ, რადგანაც ჩემი წერილების საგანი ხშირად ქართული ფილოლოგია და ქართული ენა ყოფილა. რედაქციების ნება უნებურად მე გამოვსულვარ ქართული ენის უცოდინარი, როგორც სპეციალისტების, ისე მოსწავლეთა თვალში. ხშირად უხერხულ მდგომარეობაშიაც ჩამდგარვარ, როცა მოსწავლენი შემკითხვიან,—მასწავლებელო, ეს როგორ იქნება, ჩვენ ერთს გვასწავლით, თქვენ კი სხვანაირად სწერთ გაზეთებშიო. „ტრიბუნაც“ ასე მოპყრობია რედაქციის, თუ კორექტურის ხელით, როცა ჩემი ზოგი რამ (იხ. № 425) გაუსწორებია და ჩემი შეკუმშული ფორმები **სულთნისა, სულთანობა** უნაცვლებია თავისი გაშლილი **სულთანისა, სულთანობისათვის.**

როგორც მკითხველი ჰხედავს, საქმე ეხება იმას, თუ როდის უნდა გამოითქვას სიტყვა გაშლილად, ან შეკუმშულად. საინტერესოა, მეტადრე ეხლა, როცა ჩვენს უახლოეს პოეტებს წამოუყენებიათ სიტყვის გაშლის საკითხი. კლასიკური პერიოდის მწერლებსაც აინტერესებდა სიტყვის გაშლა განსაკუთრებით პოეზიაში, მაგრამ ის იყო ერთგვარი „ლიცენცია პოეტიკა“ და არა სავალდებულო წესი. ეხლა კი პოეტები ყოველ ღონისძიებას მიჰმართავენ, როგორმე რითმი გამოატყვრინონ. აკადემიზმის პრინციპს კიდეც ჰგმობენ, კიდეც აღიარებენ, სიტყვას კიდეც გაჰშლიან, კიდეც შეჰკუმშვენ. როგორც უჯობთ, ხან ისე, ხან ასე. შეკუმშვას მოითხოვს ერთგვარი წესი ხმათა ხევის, ანუ დენისა, რაც ქართული ენის ბუნება არის **„ვეფხის ტყაოსანში“** იპოება რითმი **სამართალისა** ე. ი. გაშლით ნათქვამი, მაგრამ მისი განზოგადება ყოვლად შეუწყნარებელია, რადგანაც იგია „ლიცენცია პოეტიკა“ დიდებული პოეტისა. ვახტანგ მეექვსის კანონთა კრებულს ეწოდება წიგნი **სამართლისა.** მაშასადამე უნდა ითქვას **სულთნის, სულთანობა** და არა სულთანის, სულთანობა, რაიც მეტყველების მარცხად უნდა ჩაითვალოს.

**პეტრე მირიანიშვილი**

## მუშათა ცხოვრება.

### მიწა-ტყის კავშირში

— **რურის მუშებისათვის.** საქართ. პროფსაბჭოს მომართვის თანახმად მიწა-ტყის კავშირის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე დაადგინა: გადაეცეს პროფსაბჭოს კავშირის თანხებიდან 40 მილიონი მანეთი რურის გაფიცულ მუშების დასახმარებლად.

— **სპეც.-ტანისამოსის მიცემა.** პრეზიდიუმმა მიწად-მოქმედების კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ იმ მიწის მზომლებს, რომელნიც გასაგზავნი არიან პროვინციაში დროზე მიეცეთ სპეც ტანისამოსი, რათა მათი მუშაობა არ იქნას შეფერხებული.

— **ტეხნიკურ შტატის შემცირება.** თანახმად პროფკავშირთა საბჭოს (№ 68) დადგენილებისა მიწა-ტყის კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: შეამოკლოს ტეხნიკურ მომუშავეთა შტატი. ამ ჟამად ტეხნიკურ შტატის შემადგენლობა, შესდგება: ერთ საქმის მწარმოებლისაგან, ბუღალტერისაგან, მემანქანესაგან და სტატისტიკოსისაგან.

— **მეფუტკრეობის კურსების გახსნა.** განზრახულია შორაპნის მაზრის მიწად-მოქმედების განყოფილებასთან დაარსდეს მეფუტკრეობის მოკლე ვადიანი კურსები. კურსების საჭიროებისათვის გაღებულია სათანადო თანხა და გამომუშავებულია შესაფერის შტატი.

— **სასოფლო-მეურნეობის ცოდნის მიხალებად.** მიწა-ტყის კავშირმა წინადადებით მიმართა მუხრანის, სკრის და წინანდლის სახალხო მამულების ადგილკომებს, რომ მათ სახელმწიფო მამულების თანამშრომლებიდან გამოჰყონ სპეციალისტ-მცოდნე პირები მამულებთან—სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პუნქტების დასაარსებლად. აქ საქმის მოსაწესრიგებლად საჭირო ხარჯებს კისრულობს ცენტრალური კავშირი.

— **ნაფარეულის სახ. მამული სკოლისათვის.** პრეზიდიუმმა ამხ. ბელუკიძეს დაავალა შეიძინოს კავშირის თანხებიდან ნაფარეულის სახელმწ. მამულის სკოლისთვის საჭიროებისათვის საჭირო ფანქრები, რვეულები და სხვა სამოსწავლო ნივთები.

— **წერა-კითხვის უცოდინართა სკოლისთვის.** მიწად-მოქ. კომისარიატთან არსებულ წერა-კითხვის უცოდინართა სკოლის საჭიროებისათვის ამხ. ბედუკიძეს დაევალა სასწრაფოდ მიიღეს კულტგანყოფილებადან საჭირო სამოსწავლო ნივთები და დაუყოვნებლივ გადაეცეს აღნიშნულ სკოლას.

— **აფხაზეთის განყოფილებისთვის** „პრეზიდიუმმა დაადგინა: მიეცეს სესხად აფხაზეთის მიწა-ტყის კავშირის განყოფილებას თამბაქოს პლანტაციის მუშაობის გასაძლიერებლად 30 მილ. მანეთი და 10 მილ. მან. სამკითხველოს—წიგნთსაცავის საქმეების მოსაწყობად.

— **მუშათა კლუბების ბოსტნებისათვის.** პროფ. საბჭოს მიმართვის თანახმად, პრეზიდიუმმა დაადგინა: გადაეცეს პროფსაბჭოს მუშათა კლუბების ბოსტნების საჭიროებისათვის საჭირო თესლეულობა მიწა-ტყის კავშირიდან შეწირულების სახით.

— **შრომის დაცვის განყოფილებაში.** შრომის დაცვის განყოფილებაში თებერვალში სხვა და სხვა საჩივარი შემოსული იყო 114 განცხადების სახით, ყველა საკითხები გადაწყვეტილ იქმნა მოსამსახურეების სასარგებლოდ, მცირეოდენი გამოკლებით, რომელთა თხოვნები არ იყო საფუძვლიანი და სამართლიანი. განყოფილებამ რამდენიმე ავადმყოფ წევრებს გაუწია დახმარება დამზღვევ კასის საშუალებით.

### განათლების მუშაკთა კავშირში.

**კულტგანყოფილებაში.** თებერვალში კულტგანყოფილებამ დაარსა განათლების მუშაკთა სახლთა მარქსისტული წრე. რაიადგილკომებთან დაარსდა კულტკომისიები. გამომუშავდა კულტმუშაობის წესი ტეხნიკური შემადგენლობით კულტგანყოფილებამ გააღრმავა განათლების მუშაკთა კულტურულ დარგში მუშაობა, სექციები გააფართოვა დროგამოშვებით კეთდება მოხსენებები და იკითხება ლექციები, პროვინციასთან განყოფილებას აქვს მუდმივი მიწერ-მოწერა კულტმუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

**სატარიფო ეკონომიურ განყოფილებაში.** სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებამ გადაშინჯა პედაგოგიურ (მასწავლებელთა) შრომის და ხელფასის რაოდენობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროვინციის მასწავლებლებს განყოფილებამ მოახდინა რესპუბლიკაში არსებულ ყველა სახის სკოლების აღრიცხვა, გამოარკვია მათი მუშაობის ხასიათი და დაუგზავნა შესაფერისი სახელმძღვანელოები.

## მეცნიერება და ტეხნიკა

### მეცნიერული ექსპედიცია.

რუსეთიდან ტიბეტში მიემგზავრება დიდი მეცნიერული ექსპედიცია, გამოჩენილი რუსი მოგზაური აზი კოზლოვის მეთაურობით.

### კიბოსგან რადიით განკურნვა.

ფრანგულ ქირურგიულ აკადემიაში დოქტორ დეგრემ გააკეთა მეტად საინტერესო მოხსენება კიბოიან ავათმყოფის რადიის საშუალეიით განკურნების შემთხვევის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ 1910 წელს აქიმებისაგან ჩათვლილი იყო უიმედოთ. ავათმყოფი ამ ჟამათ თავს დიდებულად გრძნობს და ავათმყოფობის ყველა სიმპატომები სავსებით გაქრა. დოქტორებმა სავარიო და მარტელმა იმავე სხდომაზე აღნიშნეს მთელი რიგი ანალოგიურ შემთხვევებისა და ხაზი გაუსვეს, რათა ეს რეზულტატები ფართო საზოგადოებისთვისაც გახდეს ცნობილი.

---

ცენტრალური კომიტეტი ამ საკითხთან დიდი სიფრთხილით მიდიოდა და მიდის.

ეს საკითხი დიდი ხანია რაც დაისვა. ის გადაწყვეტილი იყო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის პირველ ყრილობაზე.

მაგრამ, ჩვენ არ გვითქვამს მაშინ, რომ ეს არის უკანასკნელი გადაწყვეტილებათქო.

ჩვენ ვიცოდით, რომ ამ საკითხთან მეტი სიფრთხილით უნდოდა მისვლა.

**ლენინმა სთქვა: „აღმოსავლეთს სიფრთხილით მოეპყარით“ ო.**

**ეს იმიტომ, რომ აღმოსავლეთ ხალხების გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყდება აქ ეროვნული საკითხი.**

ამიტომ ჩვენ ამ საკითხს კიდევ დავბრუნდებით. გადმოვცეცით მას განსახილველად ადგილობრივად, რათა ადგილობრივი პარტიული მოღვაწეები უფრო დაწვრილებით გაეცნონ მას.

ამისათვის 4 თვის ვადაც კი დავაწესეთ და დავნიშნეთ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების ყრილობა **აპრილში.**

მაგრამ ც. კ. ყრილობის შემდეგ უკრაინაში მომუშავე ამხანაგების წინადადებით ყრილობის დადგენილებათა განხორციელება გადავდევით კიდევ ორი თვით.

ამის მიზეზი იყო ის, რომ ჩვენ მაშინათვე დავინახეთ ერთი შეცდომა, სახელდობრ, რესპუბლიკების კავშირის მოწყობის პროექტში არ იყო გათვალისწინებული ის ორგანო, რომელიც აერთიანებდა რესპუბლიკებს.

როგორც მოგეხსენებათ საბჭოთა რესპულიკების კავშირის უმაღლესი ორგანო არის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საკავშირო სახალხო კომისართა საბჭო.

როცა გავეცანით აღმასრულებელ კომიტეტის შემადგენლობას ჩვენ დავინახეთ, რომ იქ საბჭოთა ფედერატიულ რუსეთის რესპუბლიკას ჰყავდა გაცილებით მეტი წარმომადგენლები, ვიდრე იყო წევრათ, კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკების.

ამით ჩვენ პირველ ყოვლისა ვაძლევთ იარაღს ჩვენ მტრებს.

მართლაც, ისინი გამოიყენებენ იმას, მოიგონებენ რომანოვების მონარქიას, იმას თუ როგორ ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებდა კერენსკი უკრაინაში და იტყვიან: „ამნაირი წარმომადგენლობა თანასწორობას არ ჰგავსო“.

მეორე მხრივ ჩვენც, მიუხედავათ იმისა თუ რას იტყოდენ ჩვენი მტრები—თუმცა ამასაც აქვს მნიშვნელობა—ვფიქრეთ, რომ არ არის საჭირო მივცეთ მათ ხელში ასეთი იარაღი.

ესეც რომ არ იყოს, ჩვენთვის საჭირო იყო გაგვეთვალისწინებია, შეძლებს თუ არა ეს ორგანო მოიპოვოს სრული ნდობა არა ველიკორუსულ ერებში, რომლებმაც განსაკუთრებული სიძლიერით განიცადეს ეროვნული ჩაგვრა და დამცირება.

ასეთი ნდობა კი უსათუოთ საჭიროა ჩვენთვის კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების დროს.

კონტრ-რევოლიუციონერები შეეცდებიან, რა თქმა უნდა, აამხედრონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ უკმაყოფილო ერები და გამოიყენონ ეროვნული ცრუმორწმუნოება.

ამიტომ დაიბადა აზრი, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მაგივრად დაწესებულ იქნეს ისეთი ყრილობა, რომელშიაც შევლენ საბჭოთა რესპუბლიკები, არა მცხოვრებთა რაოდენობის, არამედ თვით რესპუბლიკის ეროვნულ ნიშნების მიხედვით.

ასე რომ ყოველ რესპუბლიკას ყრილობაში ეყოლება თანასწორი წარმომადგენლობა.

არც ამხ. სტალინი, რომელმაც შემოიტანა ასეთი წინადადება და არც ვინმე სხვა ჩვენთაგანი სრულიად არ სთვლიდა ამით ეროვნულ საკითხს საბოლოვოთ შესრულებულათ და გადაწყვეტილათ.

ჩვენ ვიცოდით მხოლოდ რომ სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში საჭირო იყო ასეთი შესწორების შეტანა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ საკითხს უნდა დიდი დაფიქრება და ყურადღება.

ყრილობამ ეს საკითხი დღიურ წესრიგში დააყენა და ცენტრალურ კომიტეტის კრებამ დაადგინა მოიწვიოს ამ ყრილობაზე,—როგორც გამონაკლისი,—სათათბირო ხმის უფლებით ის ამხანაგები, რომელთაც ეროვნულ საკითხში უხდებათ მუშაობა.

საჭიროა ამ ამხანაგების აზრის მოსმენა.

ამხანაგებო! თუ ასეთი სიფრთხილით ეპყრობა ეროვნულ საკითხს ჩვენი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი.

რა თქმა უნდა, არაფერი არ არის საკვირველი იმაში, რომ იგი განაპირა ქვეყნებში და კერძოთ ამიერ კავკასიაში უნდა წყდებოდეს მეტი სიფრთხილით.

აქ შესაძლებელია მეტი შეცდომები, მეტი რყევა. მაგრამ ეს შეცდომები უნდა გამოსწორდეს აქ შესაძლებელია აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ შესაძლებელია ერთი აზრის მიღებაც.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს შეცდომები. მაგრამ ჩვენ ვცდილობთ ავიცილოთ ეს შეცდომები, გამოვნახოთ სწორი გზა.

ჩვენ არ გვავიწყდება ამხ. **ლენინის** სიტყვები: „მსოფლიო რევოლიუცია მოდის აღმოსავლეთით“.

თქვენც ასე უნდა გადასწყვიტოთ ეროვნული საკითხი, რომ მსოფლიო რევოლიუცია უფრო დაჩქარდეს და კი არ შეფერხდეს.

რაც შეეხება იმ საქმის არსებით მხარეს, რომელსაც აკეთებთ თქვენ აქ, ვფიქრობ,—და მე მგონია ამ შემთხვევაში გამოვხატავ მთელ ცენტრალურ კომიტეტის აზრს—რომ ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტათ აქ, ამიერ-კავკასიაში და ეროვნულ მშვიდობიანობის შესაქმნელათ აუცილებელია ამიერ-კავკასიის კავშირი.

ამ აზრის უარყოფა დიდი შეცდომა იქნებოდა.

მაგრამ სხვა საკითხია, რა სახით უნდა მოეწყოს ეს კავშირი, როგორ უნდა იყოს მისი დამოკიდებულება ცალკე საბჭოთა რესპუბლიკებთან და მოსკოვთან ეს ყველაფერი მოითხოვს დიდ შესწავლას დიდ ყურადღებას და დაფიქრებას

საკითხი უნდა გადაწყდეს უმტკივნელოდ და ისე, რომ ეს კავშირი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს.

მაგრამ, მეორე შემთხვევაში პროლეტარულ რევოლიუციის განვითარებისათვის ჩვენ უნდა დავიცვათ იმ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომელიც ჩვენ თვითონ ვაღიარეთ საერთო შეთანხმებით,

უნდა გამოინახოს კავშირის ისეთი სახე, რომელიც არ შებღალავს დამოუკიდებლობას.

უნდა გაერთიანდეს ყველაფერი, რაც საჭიროა სამხედრო და სამეურნეო კავშირისათვის. მაგრამ ის, რაც ამისათვის არ არის საჭირო უნდა დარჩეს ამა თუ იმ რესპუბლიკის გამგებლობაში.

---

## სიმღერა

გლეხებო, თქვენ[illegible]
გვეყო რაც-ვიყავით მონ[illegible]!
ჩვენ მტრებს[illegible] მუქთა-ხორებსა
ვარჩენდით მუდამ მუქთადა.
სიმართლეს ვერსად ვხედავდით
ჩვენს ბედზედ, გასაჭირზედა,
მტარვალის ხელში ჩაგრულნი
რას ვიფიქრებდით ლხინზედა?..
კისერზე გვაჯდა ხელმწიფე,
მოხელე, მისი ჩაფარი.
მღვდელი და ბერი, ბევრი სხვა
მათი ამყოლი ამქარი!
თავად-აზნაურს ხომ იცნობთ,
მასრებითა და ჩოხითა;
წელ ზე შემორტყმულ ხმალ-ხანჯლით,
სცხოვრობდნენ ჩვენის შრომითა.
მხოლოდ ქეიფზე ფიქრობდნენ,
ლვინისკენ ჰქონდათ გონება;
ზურნა-დუდუკზე, ბანქოში
გაჰყიდეს ერის ქონება.
გლეხი კი სულსა ლაფავდა,
სიღარიბეში ტანჯული;
უცხოზე, გადამთიელზე,
გვეყიდებოდა მამული.
მაგრამ ეხლა კი ერთბაშად
სიავეს ბოლო ელება.
მართალი არის რაც თქმულა:
„ერთი დრო არვის შერჩება“.
ჩვენც გამოგვიჩნდნენ ქომაგნი,
ნასწავლი გლეხის შვილები;
სიღარიბეში, სიმშილში,
ნაწრთობი, გამოზრდილები.
მათ ჩაგვაგონეს, გვასწავლეს,
არ გვევლო მრუდე გზაზედა,
დაგვეხსნა ჩვენი სამშობლო,
გვეზრუნა მომავალზედა.
ბევრს თავდადებულს ხალხისთვის
წილად ხვდა ტანჯვა-ვაება,
ჟანდარმ-ჯაშუშთა პრჭყალებში
სიმართლისათვის გაება.
ბევრიც დაალპეს ციხეში,
ოთხ-კედელშუა ბნელშია;
გააციმბირეს, ბორკილი
დაადეს ფეხს და ხელშია.
მაგრამ ამითი მტარვალმა
ვერ შეაჩერა სიმართლე,
პირქვე დაემხო ხელმწიფე,
ბნელს მოეფინა სინათლე!
დღეიდან ჩვენი ქვეყანა
ითვლება თავისუფლადა,
მშრომელი ხალხი იქნება
მის გამგე ჭირისუფლადა.
ქალაქის მუშამ და გლეხმა
ხელი-ხელს მივცეთ ძმურათა.
ვიშრომოთ ჩვენი ქვეყნისთვის
და ვიყვეთ იმის ბურჯათა.

**დ. გ—ძე**

## პატარა ფელეტონი

**ძველი მოქალაქის რომანიული საიდუმლო.**

წარსული საუკუნის ორმოც და ათიან წლებში სოვდაგარი აღა არუთინა, რომელიც ირანში მცხოვრებს ლამაზ ქალს ჰყვარობდა, სავაჭროში იჯდა და თავის ნოქარს, მიტროს, უძახოდა, რომელმაც იცის არუთინას რომანი ქალთან და აგრეთვე მისი საიდუმლო ენა. არუთინა გზავნის მას ქალთან დასაძახებლად, რომ როდესაც შესაფერს დროს იხელთებს, მოვიდეს თავის აშიყთან:

— ბიჭო, მიტრო!..

— ჰამე აღაჯან!

— წადი, თუ შინ არ იყოს უთხარი მოვიდეს.

მიტრო რამოდენიმე ხნის მერე ბრუნდება და თავის აღას მოახსენებს.

— აღაჯან. წაველი, შინ არ იყო; მითხრა მოვალო!..

— ცოტა ხნის შემდეგ არუთინა ეუბნება:

ბიჭო! თუ უნდა მოსულიყო, რათ არ მოვიდა?

— აღაჯან! ალბათ მოვიდა! რომ არ მოვიდა.

— არუთინა; ამლქამ, მართლა მოვიდა! რომ არ მოსულიყო ხომ მოვიდოდა!.. ეჰ... მახლას! ალბათ ჩემს შუბლზედაც ესე ეწერა...

—

**საიდუმლო გახალები.**

— წადი, თუ ქალის ქმარი შინ არ იყოს, უთხარი ქალსა, რომ ჩემთან მოვიდეს.

— წაველი, ქალის ქმარი შინ არ იყო და ქალმა მითხრა მოვალო.

— თუ ქალი უნდა მოსულიყო, რათ არ მოვიდა?..

— ალბათ ქმარი მოუვიდა, რომ ქალი არ მოვიდა.

— იქნებ მართლაც ქმარი მოუვიდა! ქმარი რომ არ მოსულიყო, ხომ ქალი მოვიდოდა...

**ვა. ხუ—ძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვა და სხვა

**რა დაუჯდა კაცობრიობას მსოფლიო ომი**

მსოფლიო ომი დაჯდა 250 ბილიონ დოლლარათ. ამერიკული ვერცხლის დოლარი იწონის ერთ უნციას; მისი დიამეტრი 1 ნახ. დიუმია. 250 ბილიონი ვერცხლის დოლარი იწონის 7.81.000 ტონნას. ეს ტვირთი რომ გადატანილ იქნეს საჭიროა 3906 მატარებელი,—თითოეული ორმოცი ვაგონით თითო ვაგონი დაიტევს 50 ტონნას. ყველა ეს მატარებლები რომ ერთმანეთს გადავაბათ, ისინი ი ნებიან 1802 მილის სიგრძით. 250 ბილიონი ვერცხლის დოლარი რომ ერთი მეორის ახლო დავდვათ, მათ შეუძლიათ 286-ჯერ შემოერტყან დედამიწის ბურთს ეკვატორთან; მათგან შეიძლება შექმნა ერთი ვერცხლის ქამრისა დედამიწისათვის და ამ ქამრის სისქე იქნება 29 ფუტი. ერთი ვერცხლის დოლარი რომ მეორეზე დავდვათ,—მივიღებთ ვერცხლის სვეტს 394.560 მილის სიმაღლასას, ე. ი. ორჯერ მეტს, ვიდრე დედამიწასა და მთვარეს შორის არსებული მანძილია. მთელი ის ვერცხლი, რომელიც ომის დროს დაილუპა, ვერცხლის კოლონაში რომ ჩამოვასხათ, რომელსაც 10 კვადრ. ფუტი ექნება ფუძე,—მივიღებთ 62 მილის სიგრძის კოლონას. ეს კოლონა უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ჩვენს პლანეტას გარსშემორტყმული ჰაერის ატმოსფერა არის. დაბოლოს, მთელი ეს ვერცხლი რომ დედა-მიწის ყველა მცხოვრებთ თანაბრათ გაუყოთ, თითოეულით მიიღებდა 170 ვერცხლის დოლლარს.

**უმდიდრესი ადამიანი მსოფლიოში.** ამერიკულ ჟურნალში მოთავსებული არის ცნობები შესახებ იმისა, თუ ვინ არის ყველაზე უმდიდრესი. მსოფლიოში. ყველაზე მდიდრათ ითვლება მსოფლიოში,—ცნობილი ავტომობილების ქარხნის მეპატრონე ანრი ფორდი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი შემოსავალი 1922 წელს შეადგენდა 150 მილიონ დოლარს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყოველ გამოშვებულ ავტომობილზე ფორდი იგებს 14 დოლარს ე. ი. მისი ფაბრიკა წლიურათ 10.000.000 ავტომობილს ამზადებს. მეტად მსხვილი ქონების პატრონია ამ ჟამად ამერიკაში აგრეთვე პიერპონტ მორგანი; ამასთან „კონტროლს უკეთებს", ანუ როგორც ამერიკაში ამბობენ განაგებს უმსხვილეს წარმოებას—როკფელლერი. პირველ ათეულ უმდიდრეს ადამიანთა რიცხვში შედის აგრეთვე ცნობილ ტენორის კარუზოს ქვრივი.

## ხელოვნება

— **ტერენტი გრანელის წიგნი.** ამ მოკლე ხანში გამოვა პოეტ ტერენტი გრანელის ლექსების მეორე ტომი.

— **სახელმწიფო საოპერო თეატრში.** რეჟისორი კ. მარჯანიშვილი ახლო მომავლისთვის ამზადებს დასადგმელად მუსკორსკის ოპერას „ბორის გოდუნოვს". რიხარდ ვაგნერის ოპერა „ლოენგრინი" წავა დირიჟორ ვ. ფალიაშვილის ბენეფისში. ლადო კავსაძეს ბენეფისისთვის კი დაიდგმება ოპერეტა „სილვა".

— **ქართველ მსახიობის ლექსიკონი.** დამსახურებული ქართულ თეატრის მსახიობი ვასო აბაშიძე ამ ჟამად სწერს ქართულ თეატრის ყოფა-ცხოვრების მონოგრაფიას. ეს მონოგრაფია იქნება ერთგვარი ქართველ მსახიობის ლექსიკონი, სადაც აღნუსხული იქნება ქართველ არტისტის წარსული და აწმყო ცხოვრება.

— **ქართულ თეატრის მუზეუმი.** განზრახულია დაარსდეს ქართულ თეატრის მუზეუმი, სადაც თავი ექნება მოყრილი ყველა იმ ისტორიულ დოკუმენტებს, რომელ-აც კი კავშირი აქვთ ქართულ თეატრის ცხოვრებასთან. მუზეუმისთვის მოკრებილი იქნება ყველა საყურადღებო მასალა: დეკორაციები, ბუტაფორიები, ჟურნალ-გაზეთები, რეცენზიები, აფიშები და პროგრამები და ყველა ის განძეულობა, რომელიც დამახასიათებელი იქნება ქართულ თეატრის ისტორიისთვის.

— **სობინოვის იუბილე.** მოსკოვის გაზეთების ცნობით 27 მარტს მოსკოვის დიდ თეატრში შესდგება გამოჩენილ მომღერალის სობინოვის 25 წლის საოპერო სასცენო მოღვაწეობის იუბილე. საიუბილეო წარმოდგენისთვის იდგმება ვაგნერის ოპერა „ლოენგრინი".

— **ანრი ბარბიუსის მისალმება,** ცნობილი მწერალი ანრი ბარბიუსის კომპარტიაში წევრად ჩაწერის გამო მოსკოვის გაზეთ „პრავდას" თანამშრომლებმა და პროლეტარულ პოეტებმა გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა.

— **კარუზოს ძეგლი.** იტალიელთა კოლონიის ინიციატივით ქალაქ ნიუ-იორკში განზრახულია ძეგლი დაუდგან მსოფლიო მომღერალ განსვენებულ ტენორს ენრიკო კარუზოს.

— **სტანისლავსკის დადგმები ამერიკაში.** ცნობილი თეატრალი კრიტიკოსი კარბინი მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასტროლების გამო ამერიკაში. რეჟისორ სტანისლავსკის მ. გორკის პიესის „ნაძირალები"-ს დადგმას ადარებს რემბრანტის დიად შემოქმედებას. საერთოდ ამერიკის პრესა სამხატვრო თეატრს დიდი თანაგრძნობით შეხვდა.

— **პატრიოტული წარმოდგენა.** რამდენიმე ხნის წინად ბერლინის სახელმწიფო ოპერაში დასდგეს „ვილჰელმ ტელი" წარმოდგენას დაესწრნენ: პრეზიდენტი ებერტი, კანცლერები, მინისტრები და ყველა პარტიის ლიდერები. შილერის დრამის სიუჟეტზე დაწერილ ოპერამ დამსწრე ხალხში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და ყველა პატრიოტიული ადგილები ტაშით იყო დაფარული.

— **„მოძღვარი" ეკრანზე.** სამშაბათიდან, მარტის 27-დან, კინო-აპოლოში აჩვენებენ განათლების სახალხო კომისარიატის კინო-სექციის ახალ სურათს „მოძღვარს".

— **ოპერის თეატრში.** დღეს, ოპერის თეატრში მიდის ოპერა „აიდა" პეტრიამ—ბარიოლიტის საბენეფისოთ.

— **ლადო კავსაძის ბენეფისი.** სამშაბათს, მარტის 27-ს, სახელმწიფო ოპერაში ლადო კავსაძის საბენეფისოთ დადგმულ იქნება ოპერეტა „სილვა".

— **პატარა თეატრში.** დღეს, სახელმწიფო პატარა თეატრში შესდგება ალ. დიუმას „ქალი კამელიებით",—გლაგოლინის და ფალერსკის მონაწილეობით.

— **კონცერტი.** დღეს, პირველი კონსერვატორიის დარბაზში შესდგება პიანისტ ტერ-დავითიანის კონცერტი, რომელიც აღმოსავლეთურ მუსიკისადმი არის მიძღვნილი.

— კვირას ა. წ. 25 მარტს სახალხო სახლში პოლ. გან. მთ-მმართვ: ქართ. დრამის მიერ მსახიობი ვიქტორ ნინიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება: „კაცის სამართალი" მე 3 მოქმედება „იასონის ოინები" 2 მოქმედ. და არივ-დარია ვოდევილი 1 მოქმედ.

# გ. ხ–ძეს.

(რეცენზიის გამო).

არსებობს მეტად გესლიანი (ინდოეთური) ლეგენდა. უსინათლონი ხელის შეხებით სწყვეტდნენ საკითხს:—თუ რასა ჰგავს სპილო? ერთი, რომელიც უსინჯავდა ფეხებს ამბობდა, რომ სპილო ბოძებს წაგავსო; მეორე ამსგავსებდა ცოცხს; ამგვარად მოეჩვენა მას სპილოს კუდი; მესამემ შეადარა ცხვირსახოცს,—ეს ჰსინჯავდა ყურს; მეოთხემ, რომელმაც ხორთუმს შეახო ხელი—გველს და მეხუთემ კი—ხარს; უკანასკნელის დაკვირვების საგანი ეშვები გახლდათ.

სრული ანალოგიური შემთხვევაა, შემთხვევა ბ-ნ რეცენზენტის გ. ხ—აძე-სი გაზ. „ტრიბუნა"-ს ფურცლებზე.

ამ შემთხვევაში ზემოდ-მოყვანილ მაგალითს, სრულებითაც არ ეძლევა ელფერი იმის, თითქოს ე. წ. „ახალგაზრდათა სალამო" გამომყავდეს, როგორც სპილო, მაგრამ ის კი უსათუოდ უნდა აღვნიშნო, რომ ერთ-ერთი უსინათლოს როლს მშვენივრად ასრულებს რეცენზენტი.

სამარცხინოა ჩემის აზრით გაზეთის ფურცლებზე ყალბი ცნობების მოთავსება და ამით გაზეთისა და თავის თავისაც უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება.

უპირველეს ყოვლისა რეცენზენტს უნდა ესმოდეს თავისი როლი და შეგნებულად ასრულებდეს მას.

მე ამ პატარა წერილში მინდა მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების ასახვა და მკითხველი საზოგადოების გაურკვეველ მდგომარეობიდან გამოყვანა.

არის ერთი დიდი დანაშაული, რომელიც ჩაიდინა სალამოს პასუხისმგებელმა და მომწყობმა: ნ. ძიძიშვილმა და ნ. წერეთელმა.

მიუხედავად ჩემი დაჟინებითი რჩევისა, აფიშაზე გამოცხადებულ იქნა, რომ თითქოს იმართებოდეს „ახალგაზრდათა სალამო", როდესაც სალამო ფაქტიურად იყო მხოლოდ და მხოლოდ: ნ. ძიძიშვილისა და ნ. წერეთელის და მთელი შემოსავალი უნდა მოხმარებოდა ჟურნალს, რომელსაც კერძოდ ნ. ძიძიშვილი უშვებდა; არ ვიცი შეიძლება ამ საქმეშიც ესარგებლა ძიძიშვილს და ახალგაზრდათა სახელით გამოეცა, მაგრამ კერძო ლაპარაკიდან ვიცი, რომ ჟურნალი იქნებოდა კერძოდ ნ. ძიძიშვილის; გარდა ამისა ის, სალამოს შემოსავლის გარდა, აპირებდა საკუთარ თანხითაც ჟურნალის გამოცემას.

ამ გვარად ვაცხადებ, რომ სალამო ატარებდა კერძო ხასიათს და იყო სულ სხვა ელფერის, ვინემ უნდა ყოფილიყო, მაგალითად „ახალგაზრდათა" სალამო. „ახალგაზრდათა სალამო" იყო მხოლოდ რეკლამა.

და აი ამ თვალთ-საზრისით ჩემი მოქმედება სავსებით მართლდება.

იმართებოდა კერძო ხასიათის სალამო. მთხოვეს დამეწერა რამე. ხელ მქონდა ნ. ძიძიშვილის ლექსების პატარა რვეული, სათაურით: „ბალღი იიან სასაფლაოზე"; მოხდა ისე რომ, სათაურის და მხოლოდ სათაურის სიტყვათა წყობა ჩემთვის სიმპატიური აღმოჩნდა. ადვილი ასახსნელია: სათაურს სავსებით ამართლებდა ნ. ძიძიშვილი, რამდენადაც მე მას ვიცნობდი და აი ამ შემთხვევით ვისარგებლე. დავწერე. ეს იყო ასრულება თხოვნისა, რომლითაც მომმართა ამხანაგმა.

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ თითქოს ჩემს უუმოკლეს სიტყვაში მექოს ნ. ძიძიშვილი და მისი აპოლოგეტი გამოვსულიყავ, მე მგონია ან გაუგებრობაში იმყოფება რეცენზენტი ან და სხვა რაიმე მიზნებისათვის ჰსურს გამოიყენოს სიყალბე ფაქტის. დაკვირვებული მსმენელისათვის ადვილი გასაგები იყო, რომ ჩემი სიტყვა უფრო ძირის გამოთხრა იყო, ვინემ აპოლოგია.

და ყოველივე ამის შემდეგ პირდაპირ სასაცილოა რეცენზენტის როლი. იგი სწორედ უსინათლოა მოყვანილ ზღაპრიდან. საჭიროა საქმის ვითარების გაგება ან და ისეთს სიმაღლეზე დგომა, რომელზედაც ვერ მოჰყვნენ ისინი, ვისზედაც სწერთ რეცენზიას.

გარდა ამისა რეცენზენტი აღნიშნავს სალამოზე წაკითხულ ლექსების უშინაარსობას და მოუმზადებლობას მოპატიჟებულ ... ესეც ადვილი ასახსნელია: თუ კი მსმენელმა ვერ გაიგო აქებდნენ, თუ აძაგებდნენ სალამოს ... ბაში, ცხადია, რომ ... ყურს ესამუშებოდა წაკითხული ლექსები და უბრალო რახა-რუხად მოეჩვენებოდა.

ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ ერთი სიტყვითაც არ შეეხება ბ-ნი გ ხ—ძე სალამოზე მომხდარ უწესოებებს.

მეტი პატივისცემა ბეჭდვითი სიტყვას.

**შოთა დუმბაძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.


## ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიურო აცხადებს,

რომ ორშაბათს 26 მარტს დღის 12 საათზე აღმასკომის საკრებულო დარბაზში დანიშნულ ია ხელმეორეთ ზეპირი საჯარო ვაჭრობა შემდეგ ქალაქის სასწორებზე:

1) თათრის მოედნის სასწორზე
2) დესიმონოვის „ „
3) მუხრანის ბაზრის „
4) ნუნუფაროვის „ „
5) მალაკნის მოედნის „

ყოველივე პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში ოთახი № 50.
№ 307 1—1

## განცხადება
ამიერ-კავკ. რკინის გზის გამგეობა აცხადებს

ყოველ ცალკე ამიერ-კავკ. სახალხო კომისარიატის და დაწესებულებების საყურადღებოდ, რომ

**გადაზიდვა ბარგის ნისიად შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო ბანკში შეტანილი იქნება მათ მიერ მიმდინარე ანგარიშში.**

ამისათვის ცალკე პირობები და შეთანხმება არ შესდგება.
308—3—1

## ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკის რკინის გზების სამმართველო

აცხადებს, რომ 26 მარტს ხსენებულ სამმართველოს შენობაში (ვაგზლის ქუჩა № 1) დღის 12 საათზე დანიშნულია **წერილობითი შეჯიბრება** 1923 წლის პირველი აპრილიდან იჯარით გასაცემად:

**1-ლი კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებზე:**
ბაქო, აჯიქაბული, ქიურდამირი, ევლახი, განჯა, აღსტაფა, შახტახტი, ნახიჩევანი.

**მესამე კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებზე:**
ბაქო, ბაქო-საბუნჩი, აჯიქაბული, ქიურდამირი, ლიაკი, მიუსუსლი, დალმამეტლი, უჯარი, ევლახი, განჯა, დალიარი, საგირი, ტაუზი, აღსტაფა, სუგმაიდი, დივიჩი, კიზულ-ბურუნი, კუსარ-ჩაი, ალაგეზი, იაშმა, ულუხანლუ, შახტახტი, ნახიჩევანი, შაგალი, ამამლი, ეჩმიაძინი (საჭიროა შეკეთება).

**მ ოთხე კლასის ბუფეტის:** ბაქოს სადგურში.

**სავაჭრო დუქნების შემდეგ სადგურებში:**
ბაქო, ბაქო-საბუნჩი, სანგაჩალა, აჯიქაბული №№ 1 და 2, ქიურდამირი, ლიაკი, დალმამეტლი, უჯარი, ევლახი №№ 2 და 3, განჯა №№ 1, 2, 3, 4, 5 და 6, დალიარ-საგირი, ტაუზი, აღსტაფა, კუსარ-ჩაი, კარა-ბურუნი. კალაგერანი, ახტალა, სარდარ-აბადი, ამამლი, შაგალი, შახტახტი, ნახიჩევანი.

**საპირფარეშოების შემდეგ სადგურებზე:**
ბაქო. ბაქო-საბუნჩი, აჯიქაბული, ევლახი, განჯა, ტაუზი, სანაინი. ერივანი და ნახიჩევანი.

**ფარდულებ ს შემდეგ სადგურებზე:** ქიურდამირი და განჯა.

**ხილით სავაჭროებ ს შემდეგ სადგურებზე:** განჯა.

**მსუბუქ ტვირთის შესანახი კამერის:** ბაქოში.

ის პირნი, რომელთაც სურთ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, მოვალენი არიან ჩაუშვან თავიანთი განცხადებები დახურულ კონვერტში საბჭოს კარებთან ამისთვის დადგმულ სპეციალურ ყუთში ან თავის დროზე გამოგზავნონ ასეთები ფოსტით. კონვერტებზე, რომელიც გადმოცემული იქნება პირადად ან გაიგზავნება ფოსტით გაკეთებული უნდა იქნას შემდეგი წარწერა: ბუფეტების, საპირფარეშოების და ფარდულების იჯარაზე შეჯიბრებისათვის, განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს თუ რა სურთ აიღონ იჯარით ან რა აქვთ განზრახული საიჯარო ქირა ოქროს მანეთებში.

განცხადებასთან დართული უნდა იქნას: 1) კვიტანცია განზრახული საიჯარო ქირის არა ნაკლებ 10 პროც. ბეს შეტანის შესახებ. იმ პირებმა, რომელთაც სურთ რამდენიმე წარმოების აღება, თითოეულის შესახებ უნდა შემოიტანონ ცალკე განცხადება და 10 პროც. ბე თითოეული ამ წარმოების შესახებ განზრახული საიჯარო ქირისა. 2) შეჯიბრებაში მონაწილეთა განცხადებებზე გადახდილ უნდა იქნეს სარებო გადასახადი. იჯარით გაცემის დროს რკინის გზების სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებული ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომლებსაც გზების მეურნეობა მოითხოვს. 3) ბუფეტების, საპირფარეშოების და სავაჭრო ადგილების ახლანდელი მოიჯარადრეები, რომლებსაც ამა წლის პირველი მარტისათვის არ გადაუხდიათ სრულად საიჯარო გადასახადი, შეჯიბრებაზე დაშვებული არ იქნებიან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა, 10-დან დილის 11 საათამდე რკინის გზების სამმართველოში (ტფილისი, ვაგზლის ქუჩა № 1, ოთახი № 64).
№ 305 (3—3)


ტირაჟი 1 700 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.